Tushi Collection

ქ. თბილისი

23 დეკემბერი 2019 წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

შპს „თუში ქოლექშნ“ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წეროვანის ტერიტორიაზე (სოფელ ჩარდახის მიმდებარედ), თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის გასწვრივ (E60 მაგისტრალი), გეგმავს საერთაშორისო სტანდარტების ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 1-ლი პუნქტის 1.1 ქვეპუნქტის თანახმად, 10 ჰექტარი ან მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება, ასევე, ამავე დანართის მე-9 პუნქტის 9.2 ქვეპუნქტის შესაბამისად, 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (მათ შორის სავაჭრო ცენტრისა და 1,000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა), ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. შპს „თუში ქოლექშნ“-ს მიერ, ლოჯისტიკური-საოფისე ცენტრის მშენებლობა დაგეგმილია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც ადრე სასოფლო-სამეურნეო დანიშულებით გამოიყენებოდა. მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 23.26 ჰა-ს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობა საჭიროებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისიწნებული სკრინინგის პროცედურის გავლას.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში და გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჭიროების თაობაზე.

განცხადებას დანართის სახით თან ერთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

შპს „თუში ქოლექშნ“-ს დირექტორი

ეკატერინა თუშიშვილი _____

23 12 2019
18788
1/CD